



ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულო



განკარგულება:გ-49.49222102

თარიღი:29/07/2022

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა № 88

„წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიის ბალანსზე არსებული განპიროვნებული და სამორიგეო ავტომობილებისათვის გამოყოფილი ყოველთვიური საწვავის ლიმიტის განსაზღვრის შესახებ“ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 31 აგვისტოს № 36 146 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 61-ე მუხლის მე-2 ნაწილისა და „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ 63-ე მუხლის შესაბამისად,

1. შეტანილ იქნას ცვლილება „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიის ბალანსზე არსებული განპიროვნებული და სამორიგეო ავტომობილებისათვის გამოყოფილი ყოველთვიური საწვავის ლიმიტის განსაზღვრის შესახებ“ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 31 აგვისტოს № 36 146 განკარგულებაში და ამ განკარგულების პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ **1.** განისაზღვროს წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიის ბალანსზე არსებული განპიროვნებული და სამორიგეო ავტომობილებისათვის ყოველთვიური საწვავის ლიმიტი:

ა) წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერისათვის განპიროვნებული ავტომობილი KIA SELTOS (ს/ნ KNAEP81AKN7344672)- **600** ლიტრი;

ბ) სამორიგეო ავტომანქანები 4 ერთეული - სულ **1500** ლიტრი:

ბ.ა) „TOYOTA CAMRY“ (ს/ნ 64T1BB46K99U062565) - **350** ლიტრი;

ბ.ბ) „VECTRA B“ (ს/ნ WOLOOOO38V5275762) - **400** ლიტრი;

ბ.გ) „OPEL VECTRA C“ (ს/ნ WOLOZCF6941098156) - **400** ლიტრი;

ბ.დ) „MERCEDES BENZ E 280“ (ს/ნ WDB2100531A317119) - **350** ლიტრი;

გ) დელეგირებული უფლებამოსილებების განხორციელების უზრუნველსაყოფად წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიის სამხედრო აღრიცხვის, გაწვევისა და მობილიზაციის სამსახურისათვის გამოყოფილი ავტომობილი - „VAZ 2121 (ს/ნ XTA212140V1289341) - 400 ლიტრი.“

2. განკარგულება ძალაში შევიდეს გამოქვეყნებისთანავე.

3. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს კანონით დადგენილი წესით, მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, ქუთაისის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქ. ქუთაისი, კუპრაძის ქ. N11).

თეიმურაზი ჭეიშვილი

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულო-
საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი

